ტრენინგების მსმენელთა ანონიმური ანკეტირებული გამოკითხვის შედეგები
2014-2015 წლებისათვის

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, დღეის მდგომარეობით, გადამზადებულია **432** სახელმწიფო მოსამსახურე და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი. მსმენელთა გამოკითხვის ფორმების (წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ **383** ერთეული) ანალიზის მიხედვით:

1. **367** მსმენელი თვლის, რომ ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის ძალიან კარგი **(96%);**
16 მსმენელი თვლის, რომ ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის დამაკმაყოფილებელი **(4.0%).**

2. **251** მსმენელს, მიაჩნია, რომ ტრენინგ-მოდული არის ძალიან წარმატებული **(65.7%);**
132 მსმენელს მიაჩნია, რომ ტრენინგ-მოდული არის წარმატებული **(34.5%).**

3. **317** მსმენელს მიაჩნია, რომ სწავლების პერიოდი არის ნორმალური **(82.9%);**
58 მსმენელს მიაჩნია, რომ სწავლების პერიოდი არის ხანმოკლე **(15.1%);**
8 მსმენელს მიაჩნია, რომ სწავლების პერიოდი არის ხანგრძლივი **(2%);**

4. **არც ერთ მსმენელს არ დაუფიქსირებია, რომ ამ სახის ტრენინგი მათთვის საჭირო არ არის (წარმოდგენილი ანკეტების 100%).**

5. **336** მსმენელს მიაჩნია, რომ ამ სახის ტრენინგი მათთვის არის ძალიან კარგი **(87.9%);**
47 მსმენელს მიაჩნია, რომ ამ სახის ტრენინგი მათთვის არის საჭირო **(12.3%).**

6. შეკითხვაზე, ტრენინგის პროგრამაში რა დამატებით საკითხებს შეიტანდნენ,
266 მსმენელმა უპასუხა - არაფერს დავამატებდი **(69.6%).**
99 მსმენელმა უპასუხა, რომ განავრცობდა პროგრამას. კერძოდ, ისურვეს ტრენერთა პროგრამაში წარმოდგენილი ყოფილიყო მეტი პრაქტიკული მაგალითები და დავალებები **(25.9%).**
18 მსმენელმა შეკითხვას არ უპასუხა **(4.7%);**

7. **315** მსმენელის აზრით, დამხმარე მასალები კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია **(82.4%);**
63 მსმენელის აზრით, დამხმარე მასალები კვალიფიციურად არის შედგენილი, მაგრამ არ არის საკმარისი **(16.4%);**
4 მსმენელი თვლის, რომ დამხმარე მასალები არ არის დამაკმაყოფილებელი **(1.0%).**